ბაწწინა ხელებით მუშისკს უკრავდენ. ცხენოსანი ბეგის ცხადა ცხენი შეეკაებია. ნამეტანის მოწვევისაგან ავამი გაწყდა და ცხენი გადაეშვა პირდაპირ ამ ბეშებზე; ამ დროს მიწვეა პატრი ანდრია, ცხა ცხენს ნაწყვეტ ლავაში და თუმცა თეთრონაც წიქცა, თანაც ცხენი შეაკაე, მაგრამ უბედურება სრულებით მიინც ვერ აცდა საწყალ ბეშებს; ერთ ბეშს ცხენმა ფეხი მოტეხა და ორი-სამი მცირეოდნათ დააშავა. თუმცა ძრიელ ცხადენ მართლ მოარწმუნებენ, მაგრამ სულთანის გამკრიახს თვალმებს მიინც ვერ გამოაპარეს ეს შემთხვევა. სულთანმა მაშინვე მოიკითხა ესენი, ანუეგმა და ბრძანა: მაგათი ენაობა და ყოველივე მომხდარი დაწერილებით შემატყობინეთო. მეორე დღეს მოახსენეს სულთანს: ფრანგების სკოლის მასწავლებელმა პატრი ანდრიათ გაგვებულ ცხენი გააჭრა რა ამით უბედურება ერთი ათათ შეამკირაო, თუმცა მიინც რამოდენიმე ბეშში დაშავდა. სულთანმა პატრი ანდრიას რწმუნებულ სკოლას ას ომრავალ ათი დარა მიუქა და თეთრონ მას-კი ამ ყოჩაღობისთვის მეთებე ხარისხის მეჯრიდის ნიშანი უბოძა. დამებებული ბეშები სახეშეიფო საავთმყოფოში დაწვენიდა და ყველა მათგანი ათ-ათი ოქროთა დააჯილდოვა. სასიკედილოთ არც ერთი არ არს დაშავებული. მიდღობა დმეროს, თუმცა „ქართველი ყველგან ყოჩაღია“ მაგრამ ნუ იტყვიეთ, პატრი ანდრია, ეს პათიოსანი-მოღაწის პატრიოტის მამა პეტრე ხარკიარაშვის ლის გამოხდილი კაცი, თურმე ისე არის მოხსენებული, როკორც ფრანგის მღვდელი (ფრანკუზი) მისი სკოლა რომ ფრანკუზების სკოლა არის ეს დიდი ზანა, იგიეთ. რა გგონიათ, ჩენი კათოლიკე სარწმუნოების მამები ამ ეისთვის შრომობენ? ან ენ უნდა ასახელონ ამ რიგი მათი უბუნებრივი ვაჟკაცობით? ფრანკუზები. ის ფრანკუზები, ეისაც ისე ეჭობათ ამათი შემწეობა და სახელი, როგორც უკიანე ზღვას ცერის ღვარი!

აქაურ საზოგადოებამში ხშირათ ჩამოვარდნილა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ აქაური ახალციხელი კათოლიკობა, რომელიც დღეს თავის თავს ქართველს უწოდებს, ქართველნი არიან, თუ სომხები. სომხები ამტკიცებენ, რომ ქართველი კათოლიკე ქვეყანაზე არ სუფევსო, ამის საბუთათ მათ ის მოჰყავთ, რომ ახალციხის მახრამში და სამესხეთოში კათოლიკობის შემოღებიდან, ვიდრე დღემდის და წინეთაც ყველა

ესენი, ეინც დღეს ქართველ კათოლიკეს ირქვევენ სომხები იყვენ და ახლოც სომხები არიანო, რადგან ნათელა და ყოველივე საეკლესიო წესი სომხურათ სრულდებოდა და დღესაც სრულდებო; ამას მათი ენა, სომხური (ბერემა ქართული სრულდებოთაც არ იცის) კილო და ტიპიც ამტკიცებსო. მართლაც საუკუნოებს ისეთიწიართ აღუბეჭდავს თავისი კვალი ამ ძველის ძველ მესხებზე, რომ ტიპურათ და ენის კილოთი ძნელათ გაირჩევიან სომხებისაგან. ქართული ამით მხოლოთ გამებდაობა და უდარდებობა შერჩენიათ. ამას ასე გდასხვავებებს აი რას წერს ყველასაგან პატრეცემული ქართველი პატრიოტი მამა ალექსანდრე ხისტარაშვილი: „დაიკირა თუ არა ოსმალეთმა სამესხეთო, მაშინვე მოწადინა თავისი ჩვეულებისადავარ ყველა ქართველნი გაემუსულმანებო (გაეთათრებო). სასომხეთო დიდინით ოსმალების ქვეშევრდომნი იყვენ და იმდროს, როცა სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა აიღო სომხები კარგათ დაწინაურებულები იყვენ ოსმალების სამსახურშიო. ამის მიხეზით სომხებსა და მათს რჯულს, როგორც დიდის ხნის შერიკებულს ხალხს მათს მონობაზე არ ერჩოდენო. რა ოსმალეთის მთავრობამ ბრძანება გამოცა, რომ ყველა ახალი დაბინავებული ქართველები უნდა გამაშადიანდენო, მაშინ ჩამოვდა ამით შუა სომხის დაწინაურებული პირები და უჩრჩის ქართველებს თავის თავი სომხებათ გამოეცხადებოთ და ამით დაეცვათ თვინათი რჯული. მეტი ღონე არ იყო — ქართველებმა გამაშადიანებეს არჩეს სომხებათ ეცნობინებოთ თვინათი თავი თათრის მთავრობისათვის და ასეც მოქცენ. ამას შემდეგ ყოველივე სასულიერო წეს-რიგიც სომხური შემოიღეს. ბეგის ხანს აღარ გაუვლია, სამცხე საათაბაგოში თათრის მთავრობამ კათოლიკეთა მისიონერები შეუშვა ამ მისიონერებმა გაკათოლიკეს სამესხეთოს რამოდენიმე ნაწილი, მათ რიცხს მოჰყვა ეს სომხებათ აღსარებული ქართველებიც და ჩაიწერა ყველა ესენი სომხის კათოლიკეთათო“. ჩვენ ეფიქრობთ, ეს აზრი სრულებით სინამდვილეს მოკლებული არ უნდა იყოს. თუ რომ ესენი თავიდანვე სომხები იყვენ და არა ქართველნი, თავიანთ ნამდვილს გვარზე უარს როგორ იტყოდენ, ნუ თუ სომხობა ქართველობაზე უარესია? ჩვენ აქ, ნურეინ იფიქრებს, თუ პატრიოტული აზრით ვლაპარაკობდეთ. არა ჩვენ გვინდა სიმარტოლით

ჩენი აზრი და ხალხში დარჩენილი გადმოცემები გამოავაშქარაოთ. მტკიცეთ გვწამს, რომ ესენი ძველი მესს-ქართველები არიან. თორემ რაც ესენი ახლა არიან, ვინც უნდა იყენე ჩენთვის სულ ერთია, რადგან იგინი დღეს არც სომხებს არაგან რა-

მეთ და არც ქართველებს. ესენი არიან ნამდვილი კათოლიკები, რომის მონები და მხოლოდ საკუთარი პირადის ინტერესების მიმდევარნი.

(შემდეგი ოქნება)

იშპ.

გაკვრით პასუხი

შემდეგი *)



აკირა აქვე მოკლეთ მაინც განესაზღვროთ რაში მდგომარეობს ნატურალისტური წარმოება და მისი განსხვავება კაპიტალისტურისაგან. წარმოვიდგინოთ ოჯახი, რომელიც თავის ყოველგვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ თვითონვე ამზადებს ყოველგვარ ნივთებს, სასმელი ოქნება ეს თუ საჭმელი, ჩასაცმელი, თუ დასახური. ადვილი შესაძლებელია, რომ ერთ წელიწადს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, რომ ჭირდება მას, იმაზე ზედ-მეტე დაამზადოს და მეორე წელიწადს სამაგიეროთ კიდევაც დააქადღეს. პირველ შემთხვევაში ოჯახს ან მის წევრს შეუძლია ზედ-მეტე ნაწარმოები გაასაღოს, გაყუდოს, მეორეში კი იძულებულია იშოვნოს, იყიდოს. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში წარმოების დედა მიზანია თვით ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილება. აქ ყიდვა-გაყიდვა სულ შემთხვევითი მოვლენაა. ამ ნაირ წარმოებას ქვია ნატურალისტური წარმოება; მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ადგილის ლქონლობის გამო დაწერილებით ვერ ეცნობით მის ხასიათს. სულსხვა კაპიტალისტური წარმოება. აქ ნივთები, ანუ შრომის ნაწარმოები, რომელსაც ჩვეულებრივ საქონელს ეწოდებთ, დამუშავებული არიან პირდაპირ გასაყიდლოთ, აქ სხვა მიზანი არა არისრა. მაგრამ მე თუ გასაყიდათ ვამზადებ საქონელს, მაშინ თავისთავათ იგოლისხმება, რომ სადმე ამ ჩემი საქონლის მიყიდვლი მოპოვება, ყიდვა შესაძლებელია მხოლოდ ერთნაირი განსაკუთრებული საქონლის საშუალებით, რომელსაც ფულს ეძახიან. მაგრამ მე ისე ფულს ვინ ჩამიდგებს ხელში, თუ ჩემივე ნაშრომი არ გაეყავე, არ გავყიდე. კაპიტალისტურ წარმოებასთან ჯერ კიდევ სულ არა ვართ მისული. აქ ჯერ კიდევ

მე იმითამ ვყიდი საქონელს, რომ ისევე პირდაპირ ჩემთვის სახმარი საქონელი უნდა ვიყიდო. აქ მოძრაობა იწყება საქონლით და თავდება საქონლითვე; მისი საზოგადო ფორმულაა: საქონელი—ფული—საქონელი. მაიყვანათ მაგალითი: მე ვყიდი ერთ თუნგ ღვინოს ერთ მანეთათ, რომ ამ ფულით ვიყიდო ხუთი ალუბი ტილო—ერთი თუნგი ღვინო—ერთი მანეთი—ხუთი ალუბი ტილო.—კაპიტალისტური წარმოების ფორმულა კი სულ გადაბრუნებულია; თუ პირველ შემთხვევაში იწყება და საქონლით და იაუღებოდა საქონლითვე, აქ პირ-იქით იწყება და თავდება ფულით. აი, მისი ფორმულა: ფული—საქონელი—ფული, პირველ შემხედით თუ საქმის თვისება კარგათ არ გავივლო, ეს ფორმულა ყოველ მნიშვნელობას მოკლულით გვეჩვენება. ავიღოთ მაგალითი: სამ მანეთათ მე ვყიდულობ რარ კოდ პურს, რომ ეს უკანასკნელი ხელ-ახლა გავყიდო სამ მანეთათ=3 მანათი—ორი კოდი პური—სამი მანეთი. ნუ თუ ეს სასაცილო არ არის? მაგრამ მოითმინეთ ცოტა, კაპიტალისტები არც ისე სულელები არიან, რომ თავისი ფული ვერ დაატონ თავისვე ჯიბეში. კაპიტალისტებმა კარგათ იციან, რომ როცა ისინი ყიდულობენ საქონელს, უსათუოთ ამ საქონელს მოაგებიან მეტი ფული და მხოლოდ ამ შემთხვევაში იძლევა კაპიტალისტური წარმოების ფორმულას ნამდვილი მისი მნიშვნელობა. ეს განსაუთ ფულის მოვება და მარტო ფულია. თუ რა ნაირ სასწაულ-მოქმედებით ასრულებს ის თავის დანიშნულებას, ამის ძიება ჩვენ ახლა ძლიერ შორს წაგვიყვანს, აქ საკმარისია მხოლოდ ვიცოდეთ, რომ კაპიტალისტური წარმოების დედა მიზანს შეადგენს ფულის მოკება.

მკითხველმა აქ თვითონვე უნდა გაითვალისწინოს, რომ კაპიტალისტური წარმოებისთვის და მისი განვითარებისათვის მიუცილებლათ საქირაო არსებობდენ შემდეგი ისტორიული პირობები: შრომის სოციალურათ განაწილება და აქედან მარტივი საქონლის ტრიალი ფორმულით: საქონელი—ფული—საქონელი. მაგრამ უმოთხერეს ისტორიულ პირო-

*) იხ. „კვალი“ № 21.

ბას კაპიტალიზმისას შეადგენს შრომის განთავისუფლება, თუ პოლიტიკურათ არა, ბატონ-ყმური მონობიდან მიიწ. თუ ეს პირობები შესრულებულია, მაშინ კაპიტალიზმის ზრდა-განვითარების საქმე დაყენებულია მარჯვე გზაზე, მის ზრდასთან ერთათ თანდათან ირღვევა და ქრება წინანდელი ნატურალისტური წარმოება და მეტის თუ ნაკლების სისწრაფით სრულდება აგრეთვე ექსპროპრიაცია წერილ-წერილ მესაკუთრეთა, ანუ ამათი უმამულ დედულობით დარჩენა. რასაკვირველია, ეს იმას სრულებით არ მოასწავებს, რომ სულ ერთბაშთ მოისპოს და გაქრეს, როგორც ნატურალისტური წარმოება, ისე წერილ-წერილი მესაკუთრობა; ეს ყოველთ შეუძლებელია და ამას არც თვით კაპიტალიზმის ევოლიუტია თბოულობს, რადგანაც ამ უკანასკნელს აქვს რამოდენიმე ფაზისი თავისი განვითარებისა ისტორიაში. თვით იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალისტურმა წარმოებამ მიასწია ჩვენს ერთაში უმალდეს ხარისხამდის, არსებობენ იმისთანა მიყრუებული ალაგები, სადაც ჯერ არ გამქარალა ბატონარქალურ-ნატურალისტური წარმოება. აი, სწორეთ ეს გარემოებაა, რომელიც კისერს ატეხიბებს და ყოველ ნაირ ლოღიკურ მოსაზრებას უკარგავს ჩვენს პუბლიცისტებს, ისინი აქა-იქ, ზოგიერთ მიყრუებულ აღვლინებში ჩვენი საქართველოა, ამწვევს კიდევ ნატურალისტური წარმოების არსებობას და აქედან იმათი დასკვნაა: ჩვენში კაპიტალისტური წარმოება არ არსებობს.

საუბედუროთ ჩვენში არ არსებობს განსაკუთრებული სასტატისტიკო დაწესებულება, (ბიურო). რომელიც უნდა კისრულობდეს ჩვენი ერის ნიეთიერ მდგომარეობის და აეკარგინოს შესწავლას, ყოველ შემთხვევაში ჩვენ აქ შეგვიძლია გამოვთქვათ, ის ყველასაგან შემწრული ფაქტა, რომ მთელმა ქართველმა ერმა საერთოთ წადვა წინ ერთი ნაბიჯი თავისი მდგომარეობის გაუმჯობესობისადმი, რომ ეს გაუმჯობესობა თავის სათავეზე მატერიალურ განვითარებაში მდგომარეობას, ფერხებთ, ამასაც არ უნდა ბევრი დამტკიცება. სხვა-და-სხვა მრეწველობათა და მეურნეობის ახალ დარგთა შექმნა და განვითარება ერთობ ნამდვილი მოწმეა ამ ფაქტისა. ახლა ეიკითხოთ: ვის აქვს ხედვრი ამ საზოგადო ნიეთიერ გაუმჯობესობაში? ყველა იღებს თავის ხედვრ წილს ამ გაუმჯობესობაში, თუ მართა რამდენიმე პირნი? ჩვენდა საუბედუროთ ამ კითხვების, როგორც აგრეთვე მრავალი სხეებისაც, სინამდვილით და სისწორით განსჯა ახლა ჩვენთვის შეუძლებელია. შეგვიძლია წავამოვთქვათ ჯერ-ჯერობით მხოლოთ ის ყველასაგან ცნობილი ფაქტი, რომ ჩვენი ერის უმრავ-

ლესობის ცხოვრება ერთობ ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაშია. თითქმის ყველა ჩვენმა მექრანო-კეებმა და გავთების კორესპონდენტებმა დიდი ხანია, რაც შენიშნეს ჩვენში რაღაც ნაირი განხეთქილება, არვე-დარევა, რომელშიაც წინ დახედული და შორს გამჭკრეტი თვალი შენიშნავს, ერთის მხრით, ძველ ბატონარქალურ-ნატურალისტურ წარმოებას, და, მეორე მხრით, ძველ ისტორიულ წოდებრივ განხეხეებთა თან-და-თან გაქარწყლებას. ამ შოძრობას თან დაყვება აგრეთვე ბევრ წერილ-წერილ მესაკუთრეთაგან მამულის ხელიდან დატეება და მათი უმიწაწყლოთ დარჩენა. ერთი სიტყვით ახალ საზოგადოებას გაუჩენია ერთი ახალი კვება, რომელსაც ის ყოველთვის ანაცვალავს, აღამიანურ მსხვერპლსაცკე ჰჭირავს. სახელი ამ კვებისა არის ფული. ფული ასწორებს იმ ოკრო-ბოკროს და უსწორ-მას-წორობას, რომელიც დავილიცა ძველმა მიანურმა და ბატონ-ყმურმა საზოგადოებამ, მაგრამ თვითონეც ქმნის ახალი ყიდის უსწორ-მასწორობას. ეს უსწორ-მასწორობა გარეგანის შეხედულობით უფრო მარტივია, ვინემ ძველი ბატონ-ყმური: თუ ბატონ-ყმურ საზოგადოებაში წოდებთა და წოდებრივ განხეხეებათ ჰქონდთ მრავალი საფეხური, ახალს კაპიტალისტურს საზოგადოებაში მისი წვენი, განუჩრელოთ წოდებთა, იკრიბებიან ორ უმთავრეს ბანაკათ: ერთი მხრით—ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელი, მეორე მხრით—შუქთა-ხორა, ბურჟუა-კაპიტალისტები“ (სტ. ს. ჯიბლძისა). ამ ორ ახალ დაბადებულ წოდებთა ანუ კლასთა შორის არის ჩამოვარდნილი ბრძოლა სამტრო-სასიცოცხლოთ. მაგრამ ეს ბრძოლა ყოველგან ერთნაირთ არ არის ფარდა ახდლილი. აქ უკვე წოდებრივი ქარ-ჩაკეტილობა და სიამაყე კარგვენ თავიანთ უპირატესობას. თავადი, აზნაური, მღვდელი, თუ გლეხი, ყველანი ერთნაირთ იზრიან მუხლს ასახა კვწმას წინაშე და თუ ხანდახან წავატყდებით ამ წოდებრივი სიამაყის გამოჩენას, უნდა გეახსოვდეს, რომ ეს უკვე უკანასკნელი ამოსუნთქეა, რომ წინანდელი ბატონი უკვე სამარისკენ ძალა უნებურათ მიისწრაფება.

ფ. მახარაძე

(შემაღვტე იქნება)

იპონელი და ქართველი

ქალების შედარება.



იპონელი ლამაზი ქალი არის, ტან-წერილი და პატარა, მეტათ მოძრავი არსება, მსხვილ თვალვება, რომელიც ოდნავ გაღებულ სქელ ქუთუთოებშია ჩამალული, სარდნაც გამოკრთის ცეცხლ-ამგზნები ცინცხალი ნაერწყალი.

ქართველი ქალი არის ტანად, ზანტ მიხერა-მიხერასა, დიდრონი თვალები ღია ქუთუთოებში ფართოთ გამოკრთის და მიმეზვავსება გაღებულ ფერფლ-მოდებულ ნაკერს ცხალს. მისი ცეცხლი გამქრალი გგონია და მხოლოთ მაშინ იგრძნობ მის სიციხეველს, როცა გულს ზედ მიაკარებ.

იპონელს ქალს მოწონს პირხმელი შნოიანი ტანადი ვაჟი, ქართველ ქალს კი ჩასუქებული, ჩარგებლებული ღინჯ-სიტყვა-პასუხის მოტრფალე.

იპონიაში საგლოვათ თეთრს იკერენ, ჩვენში კი შავებს. გზაზე ნაცნობი ქალი თუ შეგვხვდა ჩვენ მარჯვით მივევებებით, იპონელები კი მარცხით.

იპონელი ქალის ტან-საცმელი მიკალო-იმპერატორის მეუღლიდან დაწყებული უბრალო ღარიბ ქალამდის ერთ და იმავე ფასონზეა გამოჭრილი და შეკერილი, განსხვავება მხოლოთ მატერიის ღირსებაშია.

ქართველი ქალი კი წოდებისა და გვარეულობის მიხედვით სულ სხვა-და-სხვა ფასონზე იკერაჲს ტან-საცმელს; თუნდ მატერია ერთი და იგივეც იყოს; განათლებული ქართველი ქალი პარიზის მოდებს არ დაიკლებს, მაშინ როდესაც ჩვენებური სოფლის ქალი უფრო სადა და ძველ ქართულ მოდაზე იკერაჲს ტანსაცმელს.

იპონელი ქალი თავის ეროვნულ ტანსაცმელს რომ მოკლავთ, ჯვარზუდაც აცვათ, სხვა ახალ-მოდურ ტანსაცმელზე არ გაცდობს; მაშინ როდესაც ქართველ ქალს სასახლოთ მიანიია სხვა უცხო ტომის წამხედურობა, უჩაპყაფს თავის ძველ მართულობას და მიიმუნობს პარიზელ და რუსულ მოდებში.

მაგრამ ყველაზე უფრო დიდ-ღირსებას და უპირატესობას იპონელი ქალი იჩენს მითი, რომ რაც უნდა განათლებული იყოს და მრავალი უცხო ენები იცოდეს, მაინც არაოდეს ამ ენებზე არ ილაპარაკებს. ის ვაცემს პასუხს მარტო სამშობლო ენაზე და უცხო ენებს მხოლოთ იარაღთ ხმარობს თავის სამშობლო მეცნიერების და ლიტერატურის გასამდიდრებლათ. ქართველი განათლებული ქალი კი უცხო ენის ცოდნით ტრამპიზებს და სამშობლო ენაზე ლაპარაკი სათავილოთაც მიანიია. იმას ჰგონია, რომ თუ სამშობლო ენაზე ვილაპარაკე, გაუნათლებელს დამახებნო. ამის გამო ის მკობს უცხო ენაზე ტუტუკობს და იმისი დარდი არააქვს, მისი შეილები თუ თანდათან გადავარებაში იზრდებიან და ავიწყლებათ როგორც სამშობლო ენა, ისე სამშობლოსადმი მოვალეობა და მისი წარმატებისთვის შრომა.

იპონიის ასეთი საოცარი გონების წარმატება და სამშობლოს აყვავება მხოლოთ მის დედაკაცების მოღვაწეობას და შრომას მიეწერება, მაშინ როდესაც საქართველოს გადავარება და მისი გონებით დაძაბუნება ამ საუკუნეში, მხოლოთ ქართველი ქალის მაიმუნურ მიბაძელობას უცხოელებისადმი და მის გადაგვაობებს უნდა დაზარალდეს. იპონელები მტკიცეთ აღვიან თავის სამშობლო ენას და ამიტომაც მაც თაოსნობენ დღეს ისინი თავის სამშობლო ლიტერატურას და მიწინობრობას.

სახელ-განთქმულ იპონელ მწერალ ქალბატონს მუჭასეს და მის ამხანაგებს მიეწერება დღეს, თუ ქაშევირდა, გამდიდრდა უცხო ენების საუკეთესო ნაწარმოებებით და მეტათ გაიწერა იპონიის ახონდელი ლიტერატურული ენა. დღეს-დღეობით უკანასკნელი ოცდა ათი მწერალი და ფილოსოფოსი დედა კაცი გამოვა იპონიაში, რომელიც მოღვაწეობენ თავის სამშობლო ქვეყნის სადიდებლათ.

ნუ თუ შეიძლება ესევე ითქვას ქართველ ქალებზე?

იპონიის დედაკაცის პირიდან შეიქმნებელია წარმოითქვას რაიმე უმართებულო სიტყვა. ქართველი ქალები კი უკაცრავათ არ ეყოფათ, და ამისთანა თვისებაში იპონელ ქალებზე ბევრათ დაბლა დგანან. ეისაც არ ჯერა, დაუდგოს ყური ჩვენი ქალების მსჯელობას საზოგადო კრებებზე და დარწმუნდება. ეს იპონელი ქალებს ამავე მოგვიტანა ერთმა ამერიკულმა ვაჭრებმა.

გ. წერეთელი

შენი შენა



იპონელი ვარ, რომ ჩემმა შენიშვნამ ზეპირ-გადმონაცემებს "მოგროვების შესახებ, ასეთი თანაგრძნობა გამოიწვია. ზოგიერთები პირდაპირ ჩემ სახელზე აუზენიან თავიანთ წმინდა-წვილის და მიზოვნენ: "როგორც შენ გინდოდეს

ისე მოიხმარე!" გულითად მადლობას ეუძღვნე ამ პირებს და ერთხელ კიდევ გაგიმეორებ, რომ ამ შემოსაწვევარს სხვა მიზანი არა ექნებარა გარდა ზემოსხენებულ ზეპირ-გადმონაცემების შეკრებისა. აგრევე ეთხოვე მათ, რომ ჩემ სახელზე ნუ აგზავნიან, რადგანაც მე ერთ ადგილზე არა ვარ ხოლმე, დღეს რომ აქ ვარ, ხვალ—იქ და ზგე კიდევ ვინ იცის, სად ვიქ

ნები? უმჯობესი იქნება, რომ პირდაპირ „კვალის“ რედაქციაში ვაგზავნიან ხოლმე. ნუ იფიქრებენ, რომ მე მაინც თავი არ დაუღვა ამ საქმეს და ჩემი უკანასკნელი ძალ-ღონეც არ შევწირო. ამასთანავე, რადგანაც ძნელია ამისთანა საქმის ყურადღება, მე მიემართე საიმედო და ამგვარ საქმეში, ყოველთა სანარგებლო პირებს და იმათი დახმარებით იმედი მაქვს მოლოდინი გამართლდეს. ესენი ბძანდებიან: დეკანოზი დ. ლამაშიძე, რედაქტორი „მწყემსის“^ა, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე გარსევანაშვილი

და ეკიმი ივ. ელიაშვილი. ამათ დაუკითხავთ და ამითან შეუთანხმებლათ „ხეპირ-გადმონაცემების“ შესახებ არა გადაწყდებარა. მსურველებს შეუძლიათ საქმის შესახებ თვითოველს ამათგანს მიმართონ ხოლმე, — როგორც რაოდენობა შემონაწიერთა, ისე სახელი და გვარი შემომწირველთა და ავრე საქმის წარმოების მსვლელობა თავთავის დროზე ყოველთვის გამოცხადებული იქნება „კვალში“ და „მწყემს-სში“.

აკაპო

კრიტიკის კრიტიკა

(ფაქტობრივი ისტორიული პრინციპის ფესვი. „კვალის“ № 49 - 52 1894 წ.)



ატონი ფხა გვარწმუნებს, რომ დიდიკურთხეველი მატერიალიზმისთვის „აუცილებელ საქმროებას“ (1) წარმოადგენს ავრთვეთ ის „შეხედულობა, რომ დიდებულ გვამთა მნიშვნელობა და მათი გავლენა ისტორიულ მოვლენაზე არ აღემატებოდეს ბრბოს მნიშვნელობას“. შექმნა ასეთი სუსტი მოწინააღმდეგე და მერმე არუეებს. მისი საბუთები ძრიელ უბრალო დასადა. ორი ადამიანი ერთმანეთს არ გვანან ნიჭით და სხვა ბუნებრივი თვისებებით, ვითომ ეინვე ამტკიცებდეს ადამიანები ერთმანეთისაგან არ განირჩევიანო! განვავარძოთ. ასე უბრალო თეორია (როგორც თეორია ბუნებრივი შერჩევისა და რეინიზმი) საჭირო, რათა საზოგადოებრივი მოვლენანი ავხსნათ“. ეს მართლაც უბრალო თეორია, რასაც დიდი ფიქრი და კვლევა არ უნდა და რაც მიხაილოვსკიმ და ტარდმა უწყალობა ბ. ფხას, გახლავს: „პრინციპი ინზოფენციის (განახლების) და პრინციპი მიმბაძელობის“. ამ „ორი უმთავრესი პრინციპით შეგვიძლია ავხსნათ ყველაფერი მოვლენაო“. ზვეით საზოგადოებრივ მოვლენას თავის დაციის და სხვა ბიოლოგიური პრინციპებით ხსნის. ახლა კი სოციოლოგიისთვის წაუტანებია ხელი და აქაც მიხაილოვსკის და ტარდის მეტი ევრავინ უნა-

ხავს*) პირველი პრინციპი გვეუბნება — განავარძობს ავტორი, რომ გენიოსი **) „რასმე ახა რს შეამჩნევს მოვლენასა და ფაქტში. (კარგათ დაინსომეთ „შეამჩნევსო“). შემდეგ ვე გენიოსის მიერ გამოვანილი და შემჩნეული ახალი რამე გავრცელებდა ხოლმე ბრბოში მიმბაძელობით“. პირველ წინადადებაში მხოლოდ შეამჩნევდა, მეორეში — კიდევაც იგონებს, უთუოთ ისე როგორც ბ. ფხა იგონებს მატერიალიზმს, რაკი გენიოსი ასე სასწაულ-მომქმედი ყოფილა, უეპველია ის იშვიათი მოვლენა უნდა იყოს. მართლაც გენიოსი, დიდებული გვამი, შემთხვევითი მოვლენას წარმოადგენს. მაგრამ ეს შემთხვევითი მოვლენა მთელს რეველუციის ახლენს საზოგადოებასა და კერძო ადამიანშია“. ამ ნაით. ბ. ფხას „შეხედულობით ყოველ გვარი“ სოციოლოგიური მოვლენა აიხსნება განახლების და მიმბაძელობის პრინციპით“. ეს

*) კარგად ბ-ნი ფხა კითხავდეს თავის მსწავლეებს — მისაღოვსკი-ტარდს — რატომ გმირ დონისოტს ავჯინ წაბაბა და პირ-ითი კოლუბე დენინოვან? თუმიცა ორი-სამი საკუუნის წინ რანდთა ცსოვრება იგვე დონ-ქისოტობას იყო. ცსდათა საზოგადოებას იყო განვიარებულა, რომ მის მკვლ საკურულ გემირს დღეს სასაცილოთ იღეს ზენის ცსოვრებას იყო აწეულა მდღა, რომ მკვლი უკვლას მიერ საქება და პტივეეეული პირება მკურნაობაში გამოგუკას და ავტენით. (მკ. ღუარსანათაქრძემე, სასუმა, ტარდელ მკვლავსე და სხ.) ცსდათ, მამამე შეილება მხოლოთ იმის, რასაც ნადავი აქვს; რაც უნდა გენოსი იყოთ, თუ თქვენს მოქმედებას არავითარი ნადავი არ აქვს, ვერან ვერ მოკაბავს. სოლო ნადავის შეგვლა-განვიარება ნიშნავს ცსოვრების შეცვლა-განვიარებას, რომლის დღა-მთლავი მხანას საწარმოო მღვის განვიარებაში. ახ. ზვეით.

**) მისაღოვსკი ღამარკობს გემირს და არა გენიოსის შესახებ.

1) ის. „კვალის“ № 21.

არის მისი ტუზისი. ხოლო ამ ორი მოგონის მი-
ზეზია გენიოსი, გენიოსის გამოჩენა კი შემ-
თხვევითაა. ეს არის ტუზისის დასაბუთება. (საბუთო
ტუზისათ ღირს!) აქედან ჩვენ გამოვიყვანთ დასკვნებს:
„ყოველგვარი“ მოგონის ახსნა „შემთხვევითი მო-
ვლენით“ ყოფილა შესაძლებელი, შემთხვევითი მო-
ვლენა შობს „ყოველ გვარ“ მოვლენას, ergriff, ყო-
ველ-გვარი: მოვლენა (სოციალური) „შემთხვევით
მოვლენას“ წარმოადგენს. რევილიუცია, ევოლიუ-
ცია, ისტორია, მეცნიერება და სხვ. და სხ. შემთხვე-
ვითი რამ არის ცხოვრების განვითარება არაერთარ
წეს-რიგს, კანონიერობას არ ექვემდებარება. ისტო-
რიული კანონები სისულელეა; ფანტაზიაა. ყველა-
ფერი შემთხვევაზეა დამოკიდებული. ამით ბ. ფხა
უარაპყრის ისტორიას, ლოლიკას, მეცნიერებას და
ამასთანავე ყველა ამებში თავს დებს, ერთ გრძელ
წერილს წერს, რომ დაგვიმტკიცოს, თუ რა არის,
მის მიერ ყბათ აღებული ისტორია, ლოლიკა, მეც-
ნიერება. მაშ რაღაზე არის აშენებული მისი წერი-
ლი? შემთხვევაზე? დაბ, შემთხვევაზე, ესე
იგი ლოლიკურ, ისტორიულ და მეცნიერულ
უწეს-რიგობაზე. ელაპარაკით კიდევ ყველაფრის
უარ-ყოფელი ავტორი: „ახალი მიზნის და
მისწრაფების შემომქმედი და წარმომშობელი

დიდებული გეამი, გენიოსია“. ცოტა-ტე-
ვით ამას არღვევს ლეონტიევიჩის პირით: „საქმე ის
არის, რომ აღმანას შექმნა კი არ შეუძლია რისამე,
არამედ გაიგოს და შესისწავლოს“. თუ ეს „სამართ-
ლიანი სიტყვებია“, როგორც ბ-ნი ფხა გვეუბნება,
მაშ მისი სიტყვები უსამართლო ყოფილა. მოდით
და გაიგეთ, ბ-ნი ფხა! ეს კიდევ არაფერი. ის ასეთ
დამამინებელ ქადგებასაც მოყოლია: „ბრბო შო-
ლოთ მექანეა დასმარებითი ძალისა. ერთია ინიცია-
ტორი, მმართველი (ე. ი. გენიოსია), გამგებელი
და შეგნებულათ მომქმედი, მეორე კი გამგონე და
მორჩილათ აღმასრულებელი“, ამგვართ ხალხს ჩა-
მოართვა შეგნება, ცნობიერება და უფროსებს მიუ-
ჩინა, ამით მორჩილი იყავიო. მაგრამ წარმოდგი-
ნით ჩვენი განცდიერება, როცა იქვე არღვევს ამ
აზრს ამ სიტყვებით: „ახლოვდით ცნობიერებასა და
შეგნებას ყოველივე მნიშვნელობა ჩამოერთვა ახ-
ლანდელს ღროში, მაგრამ ეს ფრიად შემცდარი აზ-
რია“. ბ. ფხა მუშრავლესობას ჩამოართვა ცნობი-
ერება და თვითონვე იძახის სხვებმა ჩამოართვაო და
ეს შეცდომააო.

ნ. კურდანი

(შემაგვი იწება)

საქველ-მოაქმედო საქმე

მოწყალო ხელმწიფეო ქ-ნო რედაქტორო!



ს არის ახლა მივიღე და წავიკითხე ჩვენი
ფრიად საყვარელი და დიდებული მგოსნის
აკაკის წერილი „განცხადებასავით“ თქვენს
პატივცემულ გაზ. „კვალის“ მე-ნ №-ში, რომელსაც
შეეხება ჩვენი ერის ფრიად დიდს საგანძურს: მათი
ძველათ ნათქვამის და გაღმონაცემის შეკრებას, ჩვე-
ნი სამშობლოს ყოველი კუთხის აღწერა-შესწავლას
მისის ვითარებით და აელა-დიდებით და ამასთანავე
ჩვენი ერის მოსიყვარულე განათლებული ყმაწვილ-
კაცობის ხალხის მუშაკათ სოფლათ დაგზავნას.

ესწრაფვი მოგმართოთ შიორის ქვეყნიდან უმო-
რჩილესის თხოვნით, რათა მიიღოთ წირომა და ამა-
სთანავე ჩემ მიერ წარმოგზავნილი ათი თუმათი
გადაცეთ დიღის მოწიფებით ჩვენს საყვარელ დიდ-

ბულს მგოსან მამულიშვილს აკაკის, საფუძვლათ მი
დიდებული ჩვენი საერო საქმისა, რომლისათვისაც
მთელს ქართველობას მოგვიწოდებს.

ამასთანავე სრული დამედებული ვარ, რომ
არ დარჩება არც ერთი ქართველი საცა და
რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს იგი, რომ
აკაკის მოწოდებას ბანი არ მიცეს და თავის უკანას-
კნელი წელილი — თავის საქვეყნო — საერო სალა-
როში არ შეიტანოს.

ქვენი მარად მონა მორჩილი ოსებ მკრავილამე

ქ. ირეუტსეი.



ქალ — ნო რედაქტორო!

გიგზავნით ყვირილის ეპქრებში შეკრებილს
თვრამეტ მანეთს და ათ შუფს, ზეპირ სიტყვიერების
ფონდის სასარგებლოთ, იმედია შიიღებთ ამ მცირე
წელილს და მოახმართ იმ კეთილს განზრახვას, რო-

მელიც აღძრა პატივცემულმა და დაუფიწყარმა აკაკიმ, უმოკრიოლესათ გზხოვთ ამასთანავე გამოაცხადლოთ „კვალში“ შემომწირველთა სია:

თითო მან: მეორე გილ. ეპ. ერმილე ი. გაჩეჩილაძემ, მეორე გილ. ეპ. გერმანე მაღლაკელიძემ, ექტორ გაჩეჩილაძემ, ალექსანდრე თაბაკარმა, ილია მაღლაკელიძემ, დავით მახარაძემ, თეოდორე ახიდიშვილმა, დარისან მაღლაკელიძემ, ალექსანდრე აბაშიძემ, მ. გაჩეჩილაძემ, დიმიტრი ოქრ. ხუნდაძემ, ტრიფონ ნიორაძემ, ალექსანდრე გაჩეჩილაძემ.

ათ ათი შაური: გიორგი ტეშალაშვილმა, ენო შეყრილაძემ, მისე კენიკაძემ, გიორგი გველეჩიანმა, სილოვან გაჩეჩილაძემ, მურაძიან მაღლაკელიძემ გარსევან მაღლაკელიძემ.

ორ-ორი აბაზი: ერმინე კენიკაძემ, ტრიფონ გაჩეჩილაძემ.

თითო აბაზი: მაქსიმე გაჩეჩილაძემ, ნიკოლოზ შევილაძემ, დიმიტრი შულაძემ, ალექსანდრე შლამ-ბერიძემ, იოაკიმ ცნობილიძემ, გიგო გუგაიშვილმა ვუტე გაჩეჩილაძე.

* *

პატრონო რედაქტორო!

გიგზანით ოთხ თუმანს ზვიპირ გადმოცემათა ფონდის სასარგებლოთ, შეგროვილს სადგურ განჯის ქართველთა შორის, აქაური ქართველობა დიდის სიხარულით მიეგება ამ ფრიად სასარგებლო მიზანს და ზოგიერთებმა მუდამ თვე ალუთქვეს ამავე ფონდის სასარგებლოთ თვეში თითო მანეთი წლის განმავლობაში იმედია თაყიანთ დაპირებას სისრულელში მოიყვანენ.

ამასთანავე გიგზანით შემომწირველთა სიას: სამ სამი მანეთი: პეტრე მემზარიევილმა, ალექსანდრე ხოლერამ, ივანე შარუხიამ, ტარასი ცქიტივილიშვილმა, მიტროფანე უშვერიძემ და კალისტრატე ჩიქოვანმა ორ ორი მანეთი: სარდიონ ჭუმბურიძემ და ენო გეთაშვილმა,

თითო მანეთი: მიხაილ მიქაბერიძემ, ერმალოზ გენძეხაძემ, დავით გოცირიძემ, დარა გოცირიძისამ, ნესტორ. ცხვირავაშვილმა, პლატონ ანჯაფარაძემ, ნიკოლოზ კობახიძემ. გიორგი ზოლდასტანიშვილმა, თეოფილე კალანდაძემ, ანდრია ბახვაძე, თემურაზ ნოღამ, ივგორ გოგბერიძემ, ზაქარია მჭედლიძემ, დიმიტრი ბაქრაძემ, გეროანტი ჩილაძემ, დიმიტრი უმისიშვილმა, დიმიტრი რაზუმიოვიკი და ს. დ—ძემ ეისაც სურთ ამ კეთილ მიზნისთვის ფულის შემოწირვა შემდეგშაოც ეთხოვ გადამმცენ და შეგროვებისამებრ „კვალის“ რედაქციაში გავგზავნი.

ს. დოლიძე.

პატრონო რედაქტორო!
გიგზანით ოცდა ექვს მანეთს და 70 კაპ. შეგროვილს დ. საჩხერეში ზვიპირ სიტყვაობის ფონდის სასარგებლოთ, ამასთანავე გზხოვთ თქვენის პატივცემულის გზხეთის საშუალებით, ნება მიამცეთ მადლობა გამოუცხადო ყველა იმ პირებს, რომელთაც შემწეობა და თანაგრძნობა აღმოუჩინეს ამ საქმეს. შემომწირველთა სია: ხუთი მანეთით თ. ბეჟ. წერეთელმა. თითო მანეთით თ. ფ. წერეთელმა, ტერენტე ქავთარაძემ, ე. ჩხვიძემ, ფ. ნ. ქავთარაძემ, ი. ლამბაძემ, ელ. ს. აბრამიშვილმა, ე. ჩიკვაძემ, ნ. ლობჯინიძემ, ს. ჩინიციევამ, ნ. კანდელაძემ, ფ. დარჩიამ, თ. კიკვაძემ, ს. ყაზა-აშვილმა, ი. ე. კობიძემ. ათი შაური: მღ. ამ. იაკობაშვილმა, ე. ბერიძემ, გ. ბარათაშვილმა, ის. აბრამიძემ, პ. ორჯონიკიძემ, თებ. ძიმიტრაშვილის ასულმა, ჯუზ. ძიმიტრაშვილმა, ნ. ქვარიაშვილმა. ორი აბაზი: ა. ს. გოდაბერიძემ, ლ. ანდრიაძემ, სტ. გუგუშვილმა, ი. მგალობლიშვილმა. ექვსი შაური: რ. ნ. ჯაფარიძემ, ე. კველიშვილმა, პ. ლორთქიფანიძემ. თითო აბაზი: დ. აბდუშელიშვილმა, მ. ზოჯაშვილმა. ე. კ. აბაშიძემ, ს. საყვარელიძემ, ნ. მეცხვარიშვილმა. ორი შაური ქ-ნ. პ. ა — ლის ასულმა, მ. ა. მანჯაიძემ.

ქაიხოსრო ქავთარაძე.

6 მანს საჩხერე.

აღრინდელ ფულს 326 მან. 50 კ. რომ მიუმატოთ ყვილა ეს ფული (185 მან. 20 კ.) სულ შედგება 511 მან. 70 კაპ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. ო. წერეთლისა.

განცხადება

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის“ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

მარი ბროსესი

საქართველოს ისტორია

ნაწილი პირველი, ნათარგმნი და განმარტებული სიმ. დოდლაპირის მიერ გამოცემა ნიკ დოდლაპირისა. ფასი 70 კაპ.

2—1